საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 9 22 0000769521

06/07/2022

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანამანთლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1 „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27[5]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27[6]-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27[5] მე-7 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2021 წლის 29 დეკემბრის №1433520 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის - №5624, 10/01/2022), წარმოდგენილ იქნა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი „სასურსათო ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2022 წლის 26 იანვრის №67747 ბრძანების საფუძველზე სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2022 წლის 06 მარტის №227355 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა 2022 წლის 11, 12 და 13 აპრილს განახორციელა, ხოლო 2022 წლის 02 ივნისს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან	√			

ინდივიდუალური მუშაობა				
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2022 წლის 22 ივნისს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, 14 ხმით არცერთის წინააღმდეგ

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგნილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "სასურსათო ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "სასურსათო ტექნოლოგიების" სა დოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2022 წლის 06 ივლისის №768909 სხდომის ოქმის №06 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბოლოოდ, აკრედიტაციის საბჭოს მიერ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. გადაიხედოს პროგრამის კურსებში წარმოდგენილი ლიტერტურა და მოხდეს გამოყენებული ლიტერატურის განახლება შესაბამისი დარგის უახლესი გამოცემების შესაბამისად.
2. -უსდ-ს მიერ განხორციელდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება უნივერსიტეტში არსებულ სამეცნიერო სალიტერატურო ბაზების სწავლის/კვლევის პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებით-
3. სადოქტორო პროგრამის სრულფასოვანი ანალიზის ა და შეფასებისათვის უნდა მოხდეს პროგრამის შეფასება გარე ექსპერტების (ქართველი ან უცხოელი) მიერ.

რჩევები:

- სასურველია დაიხვეწოს და საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად დაკორექტირდეს მეორე მიზანი
- სასურველია უსდ-მ მეტი მნიშვნელობა და დატვირთვა მისცეს კვლევების თვისობრივ/ანალიტიკურ ნაწილს და არ იყოს მშრალი სტატისტიკა მხოლოდ;
- სასურველია შრომის ბაზრის კვლევის შედეგების წარმოდგენა სტატისტიკური-რაოდენობრივი (თვისობრივი) მახასიათებლებით
- სასურველია სტუდენტების - მომავალი დოქტორანტების ჩართულობა პროგრამის, კერძოდ საკვლევი თემატიკის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში.
- სასურველია მემორანდუმებში მეტად იყოს ხაზგასმული საწარმოთა მიერ პროგრამის მხარდაჭერის მზაობა დროის დაშორებულ პერსპექტივაშიც, რაც აძლიერებს პროგრამის მდგრადობის ტენდენციას.
- სასურველია, რომ დაიხვეწოს სადოქტორო პროგრამის სილაბუსები და საერთაშორისო გამოცდილებაზე მოხდეს ორიენტირი, გასათვალისწინებელია მითითებული საერთაშორისო უნივერსიტეტების გამოცდილება და სადოქტორო პროგრამების სპეციფიკა.
- სასურველია ლიტერატურის მითითების ტექნიკა დაიხვეწოს და შეირჩეს ერთი სტილი რომელსაც ყველა პროფესორი შეძლებს, რომ დაიცავს.
- სასურველია ლიტერატურას დაემატოს, განსაკუთრებით კი არჩევით საგნებში, თანამედროვე ტენდენციების საკითხებში ბოლოდროინდელი კვლევები, რომელიც ონლაინ სამეცნიერო პლატფორმებზეა, ეს ეხება განსაკუთრებით ქვევრის ღვინოებს, რომელზედაცბოლო პერიოდში დაწყებულია საერთაშორისო ასპარზზე კვლევების ჩატარება.
- სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები სასმელების ტექნოლოგიაში“ დაემატოს მონაცემთა დამუშავების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები;
- სასურველია, რომ განახლდეს ყველა მემორანდუმი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
- სასურველია სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილში ასევე ჩაერთოს სხვა სასწავლო კურსების პროფესორ-მასწავლებლები, ასევე ასისტენ პროფესორები რომელთან გამოცდილებაც და თანამედროვე ხედვები ძალზედ მნიშვნელოვანია მომავალი დოქტორანტებისათვის.

- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკიდან გამომდინარე, ასევე უნივერსიტეტის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით შესაძლებელია რომ მოწვეული ადგილობრივი და უცხოელი პროფესორების სემინარები და ლექციები ჩატარდეს ონლაინ რეჟიმში, რაც ძალიან დაეხმარებათ სტუდენტებს მიიღონ საერთაშორისო ცოდნა და გამოცდილება.
- სასურველია მაქსიმალურად მოხდეს გამოყენება საერთაშორისო თანამშრომლობების პროგრამის განმახორციელებელი აკადემიურ, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის ჩართვით.
- სასურველია კვლევითი კომპონენტის დაფინანსების გაზრდა ან საგრანტო დაფინანსებების მოზიდვა კვლევითი კომპონენტის სრულფასოვნად განსახორციელებლად.
- სასურველია უნივერსიტეტმა დასახოს/შეიმუშაოს სტრატეგია საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტების მობილობა/გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლების/კვლევითი საქმიანობის უზრუნველსაყოფად.
- სასურველია პროგრამაზე მიღების წინაპირობებში აპლიკანტმა წარმოადგინოს სავარაუდო საკვლევის თემის გეგმა

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2022 წლის 22 ივნისს.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 241 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით